

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 25 ივნისი, 2004 წელი. №149 (698)

ფასი 50 თეთრი

პოლიტიკა

ოპოზიციას პარლამენტში გამრავლების შანსი ეძლევა



უმალეს საკანონმდებლო ორგანოში მყოფ მცირერიცხოვან ოპოზიციას შემოდგომაზე გამრავლების შანსი მიეცემა.

A2

პოლიტიკა

„კონსტანტინე“ ვეზიანი აჭარაში

კობა ხაბაზი, რომელმაც არჩევნების წინ „რესპუბლიკელებს“ იდეოლოგიური ომი მოუწყო, „ნაციონალთა“ უმრავლესობისთვის უალტერნატივოა.

A3

უცხოეთი

ბრიუსელისა და ვაშინგტონის სამიტი ახალი ეტაპის დასაწყისი განხილვა



შაბათს ევროკავშირის ლიდერები შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს პირველად შეხვდებიან მას შემდეგ, რაც გასულ თვეს გაერთიანებას ახალი წევრები შეემატა.

A5

სამართალი

მსს-ს სპეცოპერაციები



თბილისსა და საქართველოს სხვა რეგიონებში სპეცოპერაციის შედეგად სამართალდამცველებმა მძიმე დანაშაულთა ჩადენაში ბრალდებული 29 სერიოზული დამნაშავე დააკავეს.

A7

ანიმირი

25/6 26/6

თბილისი	36	34
ქუთაისი	34	32
ბათუმი	32	25
სოხუმი	28	27
ფოთი	32	28
თელავი	34	33
ზუგდიდი	33	32
გორი	33	30
ახმეტა	34	33
ჭიათურა	35	32
ბაგრა	26	25

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიხედვით

აშშ დოლარი	1.9200
ევრო	2.3349
გირვანქა სტერლ.	3.4963
რუბლი	0.0662

"რაკორდსმანი" პარლამენტარების რიგები

საქართველოს პარლამენტის სრული უფლება აქვს, ვინცის რეკორდების წიგნში შეყვანა მოითხოვოს. მართლაც, მსოფლიოს ვერც ერთი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო, ალბათ, ვერ დაიტრაბუნებს იმით, რაც გუშინ ქართველმა კანონმდებლებმა შეძლეს: სულ რაღაც 75 წუთის განმავლობაში (11.30-დან 12.45 საათამდე) მათ 57 გადაწყვეტილებას (კანონპროექტი, კონვენცია, საკანონმდებლო საკითხი და ა.შ.) უყარეს კენჭი!

გაზრდადობა A3 გვარდობა



ილია ლომიძის ოფისი

ოპოზიციის შემოთავაზება პარლამენტის თავმჯდომარეობაზე გაიზიარა. ნინო ბურჯანაძეს მიიჩნევენ, რომ კენჭსაყრელი საკითხების დიდი ოდენობით დაგროვება და მათი ერთ "პაკეტად" მიღება დაუშვებელია.

ბათუმის არსი ცხინვალზე

გომა ოპოზიციონერმა საპარლამენტო "24 საათისთვის"

საქართველოს ხელისუფლება ცხინვალის რეგიონის მიმართულელებით "ჰუმანიტარულ მტურმს" აგრძელებს. შესაბამისად ნიტრატული და ფულადი შემოტყვისგან თვითღიარებული სამხრეთ ოსეთის პოლიტიკური ისტებლიშმენტი ყველანაირი ხერხით ცდილობს თავის დაცვას. ამ ეტაპზე იგი საკუთარ ნაჭურჭში იკეტება და იარაღის ულარუნსაც არ ერიდება, ოფიციალურ თბილისთან კი ურთიერთობებს წყვეტს.

კოკოთი აბაშიძე არ არის

ცხინვალის რეგიონში მიმდინარე პროცესების ფონზე, საზოგადოებაში აქტიურად მუსირებს აზრი ბათუმის მოვლენების გამეორების შესახებ. თუმცა, ასეთი მოსაზრებები ძირითადად პიარის კონტექსტში ფდება და რეალობასთან არც ისე ახლოს დგას.

გაზრდადობა A8 გვარდობა

ცხინვალში დელაჰე

ლელო გვარდობა

შინაგან საქმეთა მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის მიერ წამოყენებული ულტიმატუმის ვადა გუშინ ამოიწურა. ოქრუაშვილმა "ცხინვალის ხელისუფლების" მხრიდან იმ პირობის გადაცემა მოითხოვა, ვისაც სამხრეთ ოსეთის მშვიდობისმყოფეების პოლიგონზე სამხედრო წვრთნისას კონფლიქტის ზონაში მდებარე სოფელ ერედვის მაცხოვრებლის დაჭრაში მიუძღვის ბრალი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ოქრუაშვილი კოკოთის ხელისუფლებას სპეცოპერაციის ჩატარებას დაჰპირდა. მინისტრის მიერ 22 ივნისს მიცემული 48-საათიანი ულტიმატუმი გუშინ ამოიწურა, გარდა მტვრე ცვლილებებს კი ქართულ-ოსურ ურთიერთობებში დღეს ელიან. თვითღიარებული რესპუბლიკის განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი პირის ჩოჩიევი აცხადებს, რომ იმ სპეცოპერაციის განხორციელება, რომელზეც ოქრუაშვილი საუბრობს, ომის დაწყების ტოლფასი იქნება.

გაზრდადობა A8 გვარდობა

ფართო საინფორმაციო სექტორი, ანალიტიკა, საბიუჯეტო, საბანკო, ენერგეტიკული სფეროს მონიტორინგი, ჟურნალისტური გამოკვლევები, კულტურისა და სპორტის სიახლეები, საკუთარი კორესპონდენტების მიერ გამოქვეყნებული სტატიები

"24 საათის" ანაგრაფა - "სამართალი", "ბიზნესი", "ფინანსები", "მონაწილე", "ავტომობილი", "ეკონომიკა", "სპორტსმენები", "საქსაგარეო", "მედიცინა და ტექნიკა", "გულმგობრად".

ერთობლივი პროექტები "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან" და "სოფლის ფონდთან" განუხორციელებს მთლიანად ან ნაწილობრივ და მრავალჯერად, ბათუმის რეგიონში და მთლიანად საქართველოში.

"24 საათი" ექსპლუატორად აქვეყნებს ოფიციალურ მონაცემებს - პრაზნიკებს, მთავრობისა და სხვა სახელისუფლებო სტრუქტურების ბრძანებებს, დადგენილებებს, სახელმწიფო მონაცემების მომსახურებულ აქტებს.

ხელშეწყობის ხელშეწყობის თაობაზე უნდა დაიდოს უხელოდ გაზეთის დირექციასთან, რათა გამოიჩინოს გაზარდობები და უზრუნველყოფილი იყოს მონაცემების სტაბილურობა.

24 საათი

ხელმოწერის ტარიფები: 1 თვით - 13 ლარი; 3 თვით - 39 ლარი; 6 თვით - 78 ლარი.

რედაქციის მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული
 ტელეფონი: 20 24 24 ან 20 24 10
 საბანკო რეკვიზიტები: "თბილისი" ბანკის ცენტრალური ფილიალი.
 ბანკის კოდი 220101000, ა/ა 28487440.

პრეზიდენტი სააკაშვილი სტამბოლში მიმგზავრება

26 ივნისს საქართველოს პრეზიდენტი სტამბოლში გაემგზავრება, სადაც მონაწილეობას მიიღებს ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (ნატო) სამიტსა და კონფერენციაში „ატლანტიკური ალიანსი ახალ გზაჯვარედინზე“. კონფერენციის თემაა „ახალი ევროატლანტიკური სტრატეგიის განსაზღვრა შავი ზღვისათვის“.

იმავ დღეს მიხეილ სააკაშვილი შეხვედბა აშშ-ს სენატის უმრავლესობის ლიდერს ბილ ფრისტს. ასევე დატემა-მილია სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობა. საგარეუდოდ, იგი შეხვედბა აშშ-ს სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარეს რიჩარდ ლუგარს, აშშ-ს სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის „დემოკრატების“ ლიდერს ჯოზეფ ბაიდენს, სენატორ ჯონ მაკკეინს, კონგრესმენ ტომ ლანტოს და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს იოჰა ფოჰერს.

საქართველოს პრეზიდენტი თბილისში 30 ივნისს დაბრუნდება. 2 ივლისს კი იგი ვლადიმერ პუტინთან შესახვედრად მოსკოვში გაემგზავრება.

მედია-ნუსხი

ოპოზიციას პარლამენტში გამრავლების შანსი ეძლევა



ოპოზიციის წევრები პარლამენტში.

„უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მყოფ მცირერიცხოვან ოპოზიციას შემოღობაზე გამარჯვლების შანსი მიეცემა, როდესაც საქართველოს პრეზიდენტი, სამთავრობო თანამდებობებზე გადასვლის მიზეზით, პარლამენტიდან წასული მაჟორიტარი დეპუტატების ადგილების დასაკავებლად პროპორციული სისტემით საპარლამენტო არჩევნებს დანიშნავს.“

როგორც ცნობილია, საქართველოს პარლამენტში დეპუტატის შვიდი ვაკანსია, ადგილები გორის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი ოქრუაშვილმა, იდუბოის რაიონის მოსახლეობის რჩეულმა გიორგი ბარამიძემ, კრანისში გამარჯვებულმა გია გენჯაძემ და ზესტაფონის რაიონის მაჟორიტარმა დავით შულაძემ გაათავისუფლეს, ამათ ემტება ბათუმის და ქობულეთის მაჟორიტარი დეპუტატები ჯემალ გოგიტიძე და როსტომ ჯაფარიძე, რომლებიც აჭარაში 6 მაისს მომხდარი რეგულაციის შემდეგ პოლიტიკურ ბატალიებს საერთოდ გამოეყოფნენ, ბათუმური - დემოკრატიული აღორძინების კავშირის აქტიური წევრობის გამო. ამასთან, საპარლამენტო სკამი იძულებით გაათავისუფლა ტყუილის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა ბონოდ შალიკიანმა, რომელიც უკვე რამდენიმე თვეა, რაც წინასწარ პარტიობაში იმყოფება იარაღის უკანონოდ შენახვის პრაქტიკაში.

საარჩევნო კოდექსის შესაბამისად, არჩევნების თარიღს საქართველოს პრეზიდენტი ნიშნავს და იგი აუცილებლად განაზღვრულზე ან შემოადგომილზე ტარდება. როგორც ჩვენთან საუბარში ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ზურაბ ნონიკაშვილმა აღნიშნა, მიხეილ სააკაშვილი პროპორციული სისტემით არჩევნებს აღნიშნულ შვიდ საარჩევნო ოლქში ოქტომბერ-ნოემბერში დანიშნავს და მას ცესკო საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა წესის დაცვით ჩაატარებს.

რაც შეეხება პოლიტიკურ პარტიებს, ისინი დიდი ინტერესით ელოდებიან ამ არჩევნებს, რომელიც უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ოპოზიციონერთა რაოდენობის მომატების შანსს აძლევს. როგორც „24 საათთან“ ინტერვიუში პარლამენტარმა, „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთმა ლიდერმა დავით საგანელიძემ აღნიშნა, მათი პარტია ყველა ოლქში - კრანისში, დიდუბეში, გორში, ზესტაფონში, ტყუილში, ბათუმში და ქობულეთში საკუთარ კანდიდატს დაასახლებს და „ობიექტური არჩევნების პირობებში, გამარჯვებს კიდევ.“

ხელისუფლებასთან სწორედაც რომ არჩევნების ბატალიების გამო დაპირისპირებულ „რესპუბლიკური პარტია“ ასევე აპირებს პროპორციული სისტემით არჩევნებში მონაწილეობას, თუმცა - არა ყველა ოლქში. პარლამენტარ დავით ბერძენიშვილის თქმით, მის პარტიას საკუთარი კანდიდატები ეყოლება ბათუმსა და ქობულეთში, ასევე დედაქალაქის იმ უბნებში, სადაც „რესპუბლიკური“ წარმატება გარდაუვალი იქნება.

დავით ბერძენიშვილის განცხადებით, პარლამენტში არსებულ მათ ექვსკაციან ჯგუფს უშიშრობოდ დემატატება წევრები ბათუმისა და ქობულეთის ხარჯზე. „**ბათუმსა და ქობულეთში არ არსებობს „რესპუბლიკეის“ არც ერთი კონკურენტი,**“ - თქვა მან.

რაც შეეხება „ახალ მემარჯვენეებს“ შექმნილი საარჩევნო ბლოკის შემდეგ პარლამენტში შესულ კიდევ ერთ ოპოზიციურ ძალას - პოლიტიკურ მოძრაობას „მრეწველობის გადარჩევის საქართველოს“, მათი საპარლამენტო ლიდერის ზურაბ ტყეშელაშვილის განცხადებით, მათი ფრაქცია შემოღობვით პარლამენტში „**ხელახლა გადათვის ნინოლესს**“ და იმედოვნებს, რომ არჩევნების ხარჯზე, 17-კაციანი ფრაქცია გამრავლდება.

„მრეწველებს“ კანდიდატურები თითქმის ყველა ოლქში უკვე შეჩერული ჰყავთ, თუმცა მათი ვინაობის დასახელება ჯერ კიდევ ნადარევედ მიაჩნიათ. მიუხედავად იმისა, რომ აჭარაში გასულ არჩევნებზე ჯანსაღ და რეალურ კონკურენციას ერთმანეთს მხოლოდ „საკავშილო - გამარჯვების აჭარა“ და „ბერძენიშვილი - რესპუბლიკელები“ უწევდნენ, საკუთარი თანაპარტიელების გამარჯვებაში „მრეწველები“ მაინც დარწმუნებული არიან.

აღნიშნულ შვიდ ოლქში ვინ გაიმარჯვებს და რომელი საპარლამენტო ფრაქცია დაინაშნავს ახალ დეპუტატებს, ეს შემოგდგამაზე გახდება ცნობილი. ერთი კი ცხადია, საკუთარი კანდიდატურები სახელისუფლებო ძალასაც ეყოლებო, ასე რომ, საესტემო შესაძლებელია, ახალი პარლამენტარებით სახელისუფლებო უმრავლესობა გაიზარდოს.

ნინო გომართელი

ლევან მამალაძის ტიპი თავი მოიკლა

ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორის ლევან მამალაძის დედის ძმამ დავით პაიჭაძემ 24 ივნისს, დაახლოებით 12 საათზე, საკუთარი სახლის ავტოფარეხში, რომელიც თბილისში ატენის ქუჩაზე მდებარეობს, „ბერეტს“ ტიპის ტვიზლსაროლი იარაღიდან გასროლით თავი მოიკლა. თვითმხილველთა თქმით, პაიჭაძემ ორჯერ ისროლა და ამ ფაქტს მისი ერთ-ერთი ახლობელიც მეცნსრო, მაგრამ პაიჭაძის გადარჩენა ვერ შეძლო. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის უფროსის ზურაბ ბაქრაძის თქმით, მკვლელობის მოტივი, ჯერჯერობით, დაუდგენელია. თუმცა, როგორც გარდაცვლილის ახლობლები აცხადებენ, იგი დევრესიაში იყო. სხვათა შორის, რამდენიმე თვის წინ მას სიძეც მოუკვდა. ატენის ქუჩაზე მდებარე პაიჭაძის, როგორც ლევან მამალაძის ნათესავის, კუთვნილი ბინის ფელსათუბეტელი ქონების ჩამორთმევის თაობაზე 22 ივნისს თბილისის პროკურატურამ საოლქო სასამართლოში სამოქალაქო სარჩელი შეიტანა. არადა, როგორც ლევან მამალაძის ადვოკატმა ალექსანდრე ლადაძემ ცხადგანაცხადა, ატენის ქუჩაზე მდებარე სახლი, სადაც პაიჭაძის ოჯახი ცხოვრობდა, ნამდვილად მასზე იყო გაფორმებული. თვითმკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით მოკვლევა დაიწყო თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურამ. ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურორის ბორის მჭედელიძის ვერსიით, მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის მართლის საქმე თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით აღიძვრება.

მედია-ნუსხი

ბილარი ელექტროენარბის საბითუმო ბაზრის გაუქმებას აპირებს

ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური ელექტროენარბის საბითუმო ბაზრის გაუქმებას აპირებს. მისი თქმით, ამ საკითხზე სამინისტრო მუშაობს და ბაზრის გაუქმების შესაძლებლობას განიხილავს. „ბაზრის გაუქმებას მომავალი წლისთვის ვგეგმავთ,“ - აღნიშნა მან. ელექტროენარბის საბითუმო ბაზარი, საქართველოს ენერჯისტიკის რეფორმირების შედეგად, „საქენერგოს“ გაუქმების შემდეგ, 1999 წლის 1 ივლისს შეიქმნა. 2002 წლის 12 თებერვლიდან მსოფლიო ბანკის პროექტის ფარგლებში, ბაზარი 5-წლიანი მართვის უფლებით კონსორციუმ „ბერდროლს“ გადაეცა. ბაზრის ფუნქციონირების ძირითადი ფინანსური ნაკადების მართვა მწარმოებლებსა და საბითუმო მომხმარებლებს შორის. საბითუმო ბაზრის ჩამოყალიბებისას ენერჯისტიკის მინისტრომ ლარის კრედიტორული დავებიდან გათავისუფლება შექმნილ ორგანიზაციას „საქენერგო - 2000“-ს გადაუწერა. მიუხედავად ამისა, ბაზრის ამაჟამად ენერჯისტიკის მიმართ 400 მილიონ ლარზე მეტი ძმართება.

ინტერ-პრესი

„საქსტანდარტმა“ უხარისხო პურპროდუქტები აღმოაჩინა

„საქსტანდარტის“ უურპროდუქტების სამმართველომ დედაქალაქის საეჭრო ქუეში უხარისხო პურპროდუქტები აღმოაჩინა. როგორც უურპროდუქტების სამმართველოს ხელმძღვანელმა ომარ კვიციანიძემ განაცხადა, სასამართლოს ნებართვით ისინი 36 მცირე და დიდ სანარმოში იმყოფებოდნენ უურყენათუშეულოების სტანდარტიზაციის ნორმების შესასწავლად. 22 მათგანში აღნიშნულ პროდუქციას სხვადასხვა სახის დარღვევები აღმოაჩნდა. კერძოდ, დარღვეული იყო ტენიანობა, წონა, მაკრის ოდენობა და ხარისხი. დარღვევისთვის მენარმეს 45 ლარიდან 105 ლარამდე ჯარიმის გადახდა ეკისრება. შემომგებელი სანარმოებიდან „საქსტანდარტს“ მინიმალური 1935 ლარი აქვს ამოსაღებად, მაქსიმალური კი - 3990 ლარი.

ივლისის დასაწყისში კი, შესაძლოა, „საქსტანდარტმა“ თბილისში არსებული, მაკრონის მწარმოებელი სანარმოების შემოწმებაც დაიწყო. ამჟამად სამმართველო სანარმოებში შესასწავლად სასამართლო ინსტანციებისადმი შუამდგომლობებს ამზადებს. სასამართლოს ნებართვის მიღების შემდეგ, „საქსტანდარტი“ 5 მცირე და დიდ სანარმოში შევსებას ვგეგმავს. როგორც სამმართველოში განაცხადებს, დღეისთვის თბილისში, შესაბამის ტექნოლოგიებით მაკრონის მხოლოდ ორი ქარხანა მუშაობს.

ინტერ-პრესი

„ელიქტროკავშირის“ ახონანტისის სხვა ქალის ახონანტის დეკავშირება ფასიანი 1 აპონსტროდან ბანდირა

„ელიქტროკავშირის“ აპონენტებისთვის სხვა ქსელის აპონენტთან დაკავშირება ფასიანი 1 ავესტოდან გახდება. ფასიანი მომსახურება პირველი ივლისიდან უნდა შესულიყოს ძალში, თუმცა კომისიის სპეციფიკური ერთი თვით გადაიდო, ვინაიდან ჯერ არ დამთავრებულია იმ გამოთვლებზე მუშაობა, რომლითაც „ელიქტროკავშირი“ წუთზე 2 თეთრის დაწესებას ითხოვს. „ჩვენ არ ვამბობთ, რომ „ელიქტროკავშირის“ მომსახურება სხვა ქსელის აპონენტებთან დარეკვისას ფასიანი არ უნდა იყოს, მაგრამ ტარიფის დადგენაზე საჭიროა ზუსტი განაგარიშება,“ - განაცხადებს კომისიამ. მიუხედავად იმისა, რომ „ელიქტროკავშირი“ ფასიანი 1 ავესტოდან ღდება, 1 ივლისიდან კოდის გამოყენების სისტემა მაინც შემოდის, რაც იმას ნიშნავს, რომ „ელიქტროკავშირის“ აპონენტებზე სხვა ქსელის აპონენტს 8-22-ის მუშეობით დაუკავშირდება. „კოდის გამოყენება იმიტირ შემოვიღეთ, რომ წუთობრივი აღრიცხვა ვანარმოთ, ამ ერთი თვის განმავლობაში კი დავინახავთ, რამდენად ვგაქვს აღრიცხვის საშუალება,“ - განაცხადებს კომისიამ.

ინტერ-პრესი

ბეიარაღებულ ძალეში უკვე 4376 მკვლამდელი ბიძვიის

პრეზიდენტის ბრძანებით, 26 აპრილიდან საქართველოს შინაგარეულ ძალებში სავაზაფხულო განწვევით გათვალისწინებული 8430 წევრამდელიდან უკვე 4376 გაინვიეს. კანცელარიაში სამხედრო საგალდებულო სამსახურში განწვევის განყოფილების წამყვანი სპეცილისტის მამუკა ჭელიძის ინფორმაციით, განწვევა ყოველგვარი პრობლემების გარეშე მიმდინარეობს და სამთიანის განსაზღვრული გეგმის 57 პროცენტზე უკვე შესრულებულია. ჭელიძის განცხადებით, შეთანალებულ ძალებში გაინვიევნ 4 000, შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგან ჯარებში - 2 800, შინაგან საქმეთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სასაზღვრო ძალებში - 1 000, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში - 130, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურში - 500 წევრამდელს. წარმატებით ხორციელდება განწვევის გადასახლება და დაწესებულები მოსაგრების გადახდაც. სავაზაფხულო განწვევისას, მოსაკრებლის სახით, სახელმწიფო ბიუჯეტში უკვე 4600 ლარია გადახდილი. განწვევა 31 ივლისამდე გასტანს.

პრამ-ნუსხი

რატომ დარჩა ქუთაისი უბაროდ

ქუთაისის მოსახლეობას სამ თვეზე მეტია, რაც ბუნებრივი არი ღარ მიწოდება. მოტივი სარემონტო სამუშაოების, რისი მიზნუზებითაც ქუთაისში გაზი ყოველწელს ითიშება, თუმცა წელს ეს ეტაპი დროში მიწმუნელოვნად გაიწნა. დღეისათვის გაზით ქუთაისის მხოლოდ მცირე ნაწილი მარავდება. „ქუთავაზში“ კი ქალაქის გაზომმარაგების აღდგენის კონკრეტულ თარიღს ვერ ასახელებენ. „ქუთავაზის“ ხელმძღვანელობის განმარტებით გაზი ქალაქს ერთ, ორ ან სამ თვეში მიწმუნდება(?). ქალაქის გაზომმარაგების საკონტროლო პაკეტს „იტერა-საქართველო“ ფლობს. „იტერა-საქართველოს“ მიერ ქუთაისისთვის გაზის მიწოდების შეწყვეტის ოფიციალური მიზეზი არსებული დანაკარგების აღმოფხვრაა. რაც შემთხვევებში ეს დანაკარგები 60 პროცენტს აღწევდა. კომპანია ამას მოსახლეობას ვერ დააბრალებს, რადგან ქალაქის მომხმარებლები 100 პროცენტით გამრიცხველიანებული არიან. უფრო მეტიც, თითოეულ ქუჩასა და სახლს საკუთარი საერთო მრიცხველი აქვს და თუკი მათი მჩვენებლები საერთოს არ ემთხვევა, ცდომილებას ისევ მოსახლეობა ფარავს. მაშინ საიდან აქვს ქუთავაზს დანაკარგები?

ექსპერტები რამდენიმე მოსაზრებას გამოთქამენ. ჯერ ერთი, რომ ქსელი დაზიანებულია და გაზს ააბრებს. არ გამორიცხავენ იმსაც, რომ „ქუთავაზს“ ვალებს შეგნებულად აწერენ, რათა სახელმწიფოს ხელში დარჩენილი აქციათა პაკეტიც უცხოელმა ინვესტორმა ჩაიგდოს ხელში. ასევე ამბობენ, რომ „იტერას“ „ქუთავაზი“ ატყუებს და უკვე რეალიზებულ სანვავს დანაკარგად ასალებს, მოგებას კი ვიბეში იდებს. ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარე გელა ქათამაძე კი ვარაუდობს, რომ „იტერა-საქართველოსთვის“ ზაფხულის პერიოდში ქუთაისის გაზით მონარაგება წამგებინა და ქალაქს შეზღუდვები ამიტომაც დაუწესეს. „იტერა-საქართველოს“ წარმომადგენლები კი დაფინებით იმეორებენ, რომ გაზის გათიშვის ერთადერთი მოტივი დანაკარგების მიზეზს ძიებაა. თუმცა, სამუშაოების დაწყებიდან სამი თვის შემდეგაც კი ვერ ასახელებენ, სად იკარგებოდა გაზი.

„ქუთაისის გაზს ინტერაში გადავდილი, მაგრამ ღირებულების დაფარვა არ ხდებოდა. ამიტომაც ჩვენ უნდა გავგვერდოთ, რატომ იკარგება გაზი. დაწვევები სამუშაოები მოგვეცხს იმის საშუალებას, რომ დანაკარგები დროზე აღმოფხვრათ და ქუთაისის გაზი ზამთარში გარანტირებულად მივანდოლოთ,“ - განაცხადა ქუთაისში მყოფმა „იტერა-საქართველოს“ ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა გია გოზლომჭივლა.

ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის გელა ქათამაძის განმარტებით, არსებობდა სქემა, რომლის მიხედვითაც ქუთაისი არა მთლიანად, არამედ უბან-უბან გაითიშებოდა და დანაკარგებიც, მოსახლეობისთვის შედარებით უმტკივნეულოდ აღმოფხვრებოდა. თუმცა, „ქუთავაზი“ ამ გზით არ წავიდა. „თავიდან ისინი ამ სქემით მუშაობას აპირებდნენ, მერ რატომ შეიცვალეს, არ ვიცი. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ „იტერა“ დანაკარგებს მოსახლეობას ვერ აბრალებს. ე.ი. დანაკარგები მათივე ქსელის ბრალია. ჰოდა, ვითილი უნდა ენებათ და როდესაც „ქუთავაზს“ საკონტროლო პაკეტი შეიძინეს, შესაბამის ინვესტიციებზე ჩადიოთ მაგისტრალური და საქალაქო ქსელების მოსანესრიგებლად. ჩვენს შემთხვევაში კი „იტერა“ „ქუთავაზისთვის“ ვალების აკიდების გზით მოქმედებს. შესაძლოა, მათ სურთ, რომ ამ გზით დარჩენილი აქციებიც ხელში ჩაიგდონ,“ - აცხადებს ქათამაძე.

„იტერას“ „ქუთავაზის“ აქციათა საკონტროლო პაკეტი ახუ 51 პროცენტზე ეკუთვნის. დანარჩენი 49 პროცენტზე კი სახელმწიფოს ხელშია. მათი ქუთაისის მოღვენიების პერიოდში „ქუთავაზს“ მოგება არასოდეს დაუფიქსირებია. „ქუთავაზის“ ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ კომპანია წლებში განმალბაში მხოლოდ ნაგებზე მუშაობდა.

„იტერას“ ქუთაისისთვის სკევის მტე არაფერი გაუქვებია. 120 000 ლედარის მართვ მიცხადებები შევიძინეთ და დავაყენეთ. თუკი გაკორტება გვინდოდა, შეგვეტოო, „ქუთავაზი“ ჯერ კიდევ სამი წლის წინ გავგეგმობდნენ.“ ჩვენ მიერ „ქუთავაზის“ შესყიდვის ხელშეკრულებაში წერია ერთადერთი რამ - ორგანიზაციამ პროფილი არ უნდა შეიცვალოს. მანახეთ ერთი, სად წავა, რომ ყველაფერი ერთ წელიწადში იკონსეროთ?“ („იტერა“ ქუთაისში უფე სამი წელია მოღვენიობს ბ.ს) მოგვეცით საშუალება, რომ ვიშუფოთ. რამდენჯერაც დაღვიეთ საშუალები, იმდენჯერ გაგვაჩერეს,“ - ამბობს გოზლომჭივილი.

„ამდენი ფული თუ ჩადეს, გამოიღოს რომ ისიც გადაყურიათ, რადგანაც ქსელი მაინც არ არის მოწესრიგებული, მაშინ სად წაიღეს ეს ფული? ისიც საკითხავია, რამდენ გაზს მოიხმარს ქუთაისი და რამდენს აწერენ ზედმეტად?“ - ამბობს ქათამაძე. მასში ეჭვს იწვევს „იტერას“ მიერ ქალაქის გამრიცხველიანებაში ჩადებული 120 000 ათასი დოლარიც. საქმე ისაა, რომ ბინისა და ქსელის საერთო მრიცხველებიც მოსახლეობამ შეიძინა. „ქუთავაზი“ თავდაპირველად მოსახლეობას დაჰპირდა, რომ საერთო მრიცხველებით თანხას, მოხმარებული აირის ღირებულებაში გაუქვითავდა, მაგრამ დაპირება დაირობად დარჩა.

ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარე გელა ქათამაძე „იტერას“ თანამშრომლობასაც სთავაზობს და ქუთაისის გაზიფიკაციისთვის ერთობლივი ინვესტიციების განხორციელებისკენ მოუწოდებს. ქუთაისის ბიუჯეტი მზადაა, რომ ამისათვის 300 000 ლარი გამოიყოს, სანაცვლოდ კი „იტერა“ დაახლოებით 700 000 ლარი უნდა ჩადოს. თუმცა, „იტერას“ წარმომადგენლებმა ამ წინადადებაზეც თავი შეიკავეს.

ბექა სისაური ქუთაისიდან

ორი სიხვიით

ქუთაისი. გუშინ ქუთაისში თავდაცვის სამინისტროს 21-ე კვითი მოტოშროლელი ბრიგადის დარსტავად 12 წელი აღინიშნა. სახუბო ღონისძიებას საქართველოს გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი გივი ოუკურიძე დაესწრო. გუშინვე, 21-ე ბრიგადის წევრამდელმა ფოცი დადეს, ხოლო რამდენიმე რიგითი საჯარო ნაწილის მოძღვარმა მამა გიორგიმ მართლმადიდებლურად მონათლა. **ინტერ-პრესი**

თბილისი. ბრიტანეთის ავიაკომპანია „ბრითიშ ეარაივსი“ საქართველოს ავიანაზრზე ხელშეკრედ შემოსვლას და ლონდონ-თბილისი-ლონდონის მიმართულებით რეგულარული ფრენების დაწყებას 1 ნოემბრისთვის ვგეგმავს. კომპანია საქართველოს სა-მოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციას ლიცენზიის მისაღებად უზახულებს დღეებში მიმართავს. **ინტერ-პრესი**

თბილისი. საქართველოს სახვევაო ბანკის“ მენაბრეები ანაბრეებიდ მინიმალურ ვასაცემ უთანხა - 900 ლარს მიიღებენ. როგორც ბანკის უკვიდეტორმა ქეთევან ნოღაიძელმა განაცხადა, ლიკვიდაციის პროცესი მუფერებლად მიმდინარეობს. „ბანკის ვალდებულებების გასტუმრების შესახებ ინფორმაცია ბალანსის გამოქვეყნების შემდეგ გახდება ცნობილი,“ - აღნიშნა მან. „სახვევაო ბანკის“ ადმინისტრაციამ ეროვნული ბანკის ვადანუცხვლებელ ლიკვიდაციის შესახებ ყველა დონის სასამართლო ინსტანციაში გაასაჩივრა, თუმცა უშედეგოდ - ბანკს საკუთარი 16 მარტს შეუჩერდა, ამის მიზეზად ბანკის კრედიტორთა ინტერესები დასახელოდა. **ინტერ-პრესი**

„რესპუბლიკელები“ შემოდგომავა საკუთარ საპარლამენტო ფრაქციას ჩამოაყალიბებენ



საპარლამენტო უმრავლესობას მოწყვეტილი და ხელისუფლების ოპოზიციამ გადასული „რესპუბლიკური პარტია“ შემოდგომაზე უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში საკუთარი ოპოზიციური ფრაქციის ჩამოყალიბებას აპირებს.

„**ნურაგის, მათ შორის, ხელისუფლებას და უმრავლესობას წუ შევექმნება იმის ოღუზა, რომ ჩვენ ახალი საპარლამენტო სეზონისთვის ფრაქციის შექმნას ვერ შევძლებთ,**“ - განაცხადა ჩეჩენთან საუბარში „რესპუბლიკური პარტიის“ ლიდერმა, პარლამენტარმა დავით ბერძენიშვილმა და დარწმუნებით აღნიშნა, რომ მათი თანამოაზრეების რიცხვი პარლამენტში მალე გაიზრდება.

„რესპუბლიკელების“ დაპირისპირება სახელისუფლებო გუნდთან 20 ივნისის აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისთვის გამოიკვეთა, როდესაც დავით ბერძენიშვილის გუნდმა არჩევნებში მოხალისეობა „სააკაშვილი - გამარჯვებული აჭარისგან“ დამოუკიდებლად გადაწყვიტა.

„რესპუბლიკელები“ საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ექვსი დეპუტატით არიან წარმოდგენილი. ესენი არიან: ლევან ბერძენიშვილი, რომელიც განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის ხელმძღვანელობს; ივლიანე ხაინდრავა, საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე რომან გოციროძე, ასევე ნუგზარ მგელაძე და თემურ ნერგაძე.

საქართველოს პარლამენტში ფრაქციის ჩამოშლის ბეებისთვის, მინიმუმ, ათი დეპუტატია საჭირო. **ნინო გომართელი**

უზბეკი ძალები ტრაფიკორები დააკავეს

15 უზბეკი ძალებს მიმართ განხორციელებულ ტრეფიკინგში ბრალდებულის სტატუსით პოლიციელებმა თბილისელი, 42 წლის აშოტ ოგანესიანი და 23 წლის მარიკო მნაცვანიანი დააკავეს, რომლებიც თბილისის პოლიციის დროებითი დაკავების იზოლაციონარში არიან მოთავსებული. პოლიციამ 15 უზბეკი ძალებიდან ოთხის ვინაობა დაადგინა. ესენი არიან 20 წლის მაღინა ახდოუხახაროვა, 23 წლის ზურხა ხამაროვა, 22 წლის ახდოლატ ხაშმოევა და 18 წლის მუმირა ტაკაბაევა. გამოძიების ვერსიით, 15 ახალგაზრდა ძალი უზბეკეთთან თბილისში თითქოსდა ჩაის საკრეფად ჩამოიყვანეს, თუმცა, როგორც გაირკვა, მათ ჩვენს ქვეყანაში ასეთი სასმასური არ ელოდათ. უზბეკ ძ

"რეკორდსმანი" პარლამენტარების რიგები

პირველი გავრცელება

გიორგი ასანიძე

თუმცა, მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერს, დავით გამყრელიძეს "ზედგერთი სიჩქარით ქოლვა" სულაც არ სიაბოვნებს და აცხადებს, რომ ასეთი ტემპით მუშაობისას, ადვილი შესაძლებელია, პარლამენტმა სერიოზული შეცდომები დაუშვას. გამყრელიძის შემოთავაზებას პარლამენტის თავმჯდომარე მთლიანად იზიარებს. ნინო ბურჯანაძეც ადასტურებს, რომ კენჭსყარელი საკითხების დიდი ოდენობით დაგროვება და მათი ერთ "პაკეტად" მიღება დაუშვებელია.

გუმინდელ რიგგარეშე სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებებიდან რამდენიმე მათგანი ცალკე აღნიშვნის ღირსია. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ პარლამენტმა, როგორც იქნა, აირჩია კონსტროლის პალატის თავმჯდომარე. ზურაბ სოსელია ამ თანამდებობაზე 150 ხმით ერთსულვნად დაამტკიცეს.

მაღე, ალბათ, კიდევ ერთი ვაკანსიაც შეივსება: გუმინ პარლამენტმა უფლებამოსილება შეუნყვია უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, ლადო ქანთარიას. ამ თანამდებობაზე რომ კოტე კემულარია მოიხრება, საიდუმლოებას უკვე აღარ წარმოადგენს - იგი რუსეთის ფედერაციაში საქართველოს ელჩობიდან გათავისუფლდა და, პარალელურად, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატის რანგში, სხვადასხვა ფრაქციებთან კონსულტაციებზე გამართა.

მემარჯვენე ოპოზიციის წარმომადგენლები ვარაუდობენ, რომ კოტე კემულარია, მისი "ნაციონალიზმის" გამო, ხელისუფლების მხრიდან ზენოლის ქვეშ რჩება და, აქედან გამომდინარე, ნეიტრალური ვერ იქნება, რაც სასამართლო ხელისუფლების პოლიტიზებას გამოიწვევს. ამასთან დაკავშირებით, თავად კოტე კემულარია აღნიშნავს, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე დამტკიცების შემთხვევაში, აუცილებლად დატოვებს "ნაციონალური მოძრაობის" რიგებს. თავის მხრივ, საპარლამენტო უმრავლესობისა და ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების" ლიდერი მაია ნადირაძე აცხადებს, "ნაციონალიზმი" კანონმდებლობის არიან და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისგან უკანონო ქმედების ჩადენას არასდროს მოითხოვენ.

ასევე რომ მოხდეს, კოტე კემულარია მეტად პრინციპული ადამიანი და სამართლიანობას არასოდეს უღალატებს," - დასძენს მაია ნადირაძე.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე კოტე კემულარიას პარლამენტი, სავარაუდოდ, დღეს დაამტკიცებს.

გუმინ კი პარლამენტმა, როგორც აღვნიშნეთ, რამდენიმე მნიშვნელოვან კანონპროექტს "დაულოცა გზა" - მესამე მოსმენით მიღებული იქნა კანონპროექტები "ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ", "სიტყვისა და გამომხატვის თავისუფლების შესახებ", გააუქმა ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტრო, მიიღო განცხადება ევროპის სამეზობლო ინიციატივასთან საქართველოს მიერთების შესახებ, თანამდებობიდან გაათავისუფლა გევი-



პარლამენტმა, როგორც იქნა, აირჩია კონსტროლის პალატის თავმჯდომარე.



იური ლაშოვიძის ფრაქცია

აჭარის სტატუსზე მსჯელობა საკონსტიტუციო კომისიაში დაიწყო და იურიდიული საკითხი კომიტეტში გაგრძელდა.

ტეში, სირიაში, ლიბანსა და იორდანიაში საქართველოს ელჩი აპოლონ სილაგაძე, რატიფიცირება გაუკეთა საკონსტრუქციო შეთანხმებას საქართველოსა და იტალიას, აგრეთვე, საქართველოსა და უზბეკეთს შორის...

გუმინვე დეპუტატებმა მიიღეს დადგენილება "თბილისში კანონდარდვევით განხორციელებულ და მიმდინარე მშენებლობებზე რეაგირების ღონისძიებათა შესახებ". ამ დოკუმენტის დადგენილებით ნაწილში ყველაზე საინტერესო, ალბათ, ის არის, რომ რიგი დავალებები ეძლევა ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, პარლამენტმა გუმინ გააუქმა. ამდენად, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ გუმინ პარლამენტის სცენაზე განხორციელდა "ჯერ დაიხივნენ, მერე იქორწინეს" რიმიკი სახელნოდებით "ჯერ გააუქმეს, მერე დაავალეს".

გუმინ პარლამენტში კიდევ ერთი უცნაურობაც მოხდა: როდესაც რუსეთის ელჩობიდან კოტე კემულარიას გამოწვევას ევროპის სამეზობლო ინიციატივასთან საქართველოს მიერთების შესახებ, თანამდებობიდან გაათავისუფლა გევი-

86). ამიტომ, სხდომის წამყვანს მიუხედავად, მას შემდეგ უზენაესი სიტუაციიდან პარლამენტის გამოსაყვანად საკმაოდ ბევრი წვალბა დასჭირდა.

გუმინდელი დღის გვირგვინად კი აჭარის სტატუსზე მსჯელობა იქცა. იგი საკონსტიტუციო კომისიაში დაიწყო და იურიდიული საკითხი კომიტეტში გაგრძელდა. ბევრი მიიჩნევს, რომ საკონსტიტუციო კანონპროექტში "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ" მრავალი პუნქტი დასახვენი და შესაცვლელია. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის, ჯონი ხეცურაიანის აზრით, მაგალითად, "დაუშვებელია, რომ საქართველოს პარლამენტს უკონსტიტუციო უფლება, რადგან ეს საკონსტიტუციო სასამართლოს პრეროგატივაა".

ამასთან დაკავშირებით, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ლევან ბუაჩიშვილი აცხადებს, რომ ევროპელი კანონმდებლების მიერ მოწოდებული რეკომენდაციების თანხმად, საქართველოს პარლამენტს აჭარის ნორმატიული

აქტების შექმნის (და არა გაუქმების) და საკონსტიტუციო სასამართლოში შესაბამისი სარჩელის შეტანის უფლება უნდა მიეცეს.

ბუაჩიშვილი იმასაც შენიშნავს, რომ თავდაპირველ ვარიანტში აჭარის მინისტრების დანიშვნის საკითხი საქართველოს შესაბამისი მინისტრებთან უნდა შეთანხმებულიყო, მაგრამ ბოლო მომენტში ამის აუცილებლობა მოიხსნა.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე არ ეთანხმება "რესპუბლიკელების" მოთხოვნას, რომ აჭარის სტატუსზე მსჯელობა სამი თვით უგვიანდეს. ბუაჩიშვილი ამის საჭიროებას ვერ ხედავს, რადგან "კანონპროექტი პრინციპულია და იმდენივე მისამართულია და პირველი მოსმენით მის მიღებას წინ არაფერი უდგას".

"რაც ადრე მოხდება სამართლებრივი საფუძვლების შექმნა, აჭარის ხელისუფლების საქმიანობა მით უფრო დემოკრატიულად წარმართება," - აცხადებს ბუაჩიშვილი. რაც შეეხება აჭარის ავტონომიურობის ხარისხს, კომიტეტის თავმჯდომარის თქმით, "იგი მთლიანად შეესაბამება საქართველოს დღევანდელ რეალობას".

„კონსტრუქციული“ ვნებები აჭარაში

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბჭო პირველად ივლისის დასაწყისში შეიკრიბება. ბუნებრივია, ამ სხდომის ყველაზე მთავარი საკითხი აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის არჩევნები იქნება. იმის მიუხედავად, რომ ბათუმში რამდენიმე შესაძლო კანდიდატურაზე საუბრობენ, ეჭვგარეშეა, რომ თავმჯდომარეობის ყველაზე დიდი შანსი ყოფილ პარლამენტარს კობა ხაბაზს აქვს. ყოველ შემთხვევაში, არაოფიციალურ საუბრებში ამ ინფორმაციას ლიად ადასტურებენ როგორც "ნაციონალური მოძრაობის" თბილისელი ლიდერები, ასევე თავად "ნაციონალებს" აჭარელი აქტივისტები. მათივე თქმით, კობა ხაბაზმა პარლამენტარის მანდატი სწორედ ამ პერსპექტივის გამო დათმო.

თამარ მკვიდრიძე

კობა ხაბაზი, რომელმაც არჩევნების წინ "რესპუბლიკელებს" იდეოლოგიური ომი მოუგო, "ნაციონალიზმი" უმრავლესობისთვის უაღრესად აქტუალურია. თანაც, აჭარაში ყველა იცის, რომ იგი საქართველოს პრეზიდენტის პროტეჟეა და "ნაციონალური მოძრაობის" პარტიული სის დაკომპლექტება და მაჟორიტარი კანდიდატების შერჩევა უშუალოდ მისი დირექტივით ხდებოდა. ანუ, დღესდღეობით ხაბაზი აშკარად იღებს მონაწილეობას ავტონომიურ რესპუბლიკაში მიმდინარე საკადრო პოლიტიკაში. ამავე დროს, ნინასარჩევნო პერიოდში მისი და მის მიერ შერჩეული კანდიდატებისადმი მიხედილ სააკაშვილის ღია მხარდაჭერა ბათუმში ბევრს აფიქრებინებს, რომ უახლოესი წლების მანძილზე კობა ხაბაზი ავტონომიის პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთი აქტიური იდეოლოგი იქნება. თანაც, მის მიერ შერჩეული კანდიდატები, რომლებსაც სულ მალე უმაღლესი საბჭოს დეპუტატების მანდატები დაურიგდებათ, მას მხარს ყოველგვარი ყოყმანის გარეშე დაუჭერენ.

თუმცა ისიც ცხადია, რომ კობა ხაბაზს აჭარაში საკმაოდ ბევრი ოპონენტი ჰყავს. იგი აბსოლუტურად მიუღებელია "რესპუბლიკელებისათვის" და ბათუმელთა და ქობულეთელთა იმ ნაწილისათვის, რომლებმაც 20 ივნისის არჩევნებში ხმა "რესპუბლიკურ პარტიას" და მათ მაჟორიტარ კანდიდატებს მისცეს (ბათუმელების თითქმის 30 პროცენტი "რესპუბლიკელების" აქტიური მხარდაჭერები არიან). შესაბამისად, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ კობა ხაბაზის არჩევა იქ საკმაოდ ვენებადელად გამოიწვევს. თანაც, "რესპუბლიკელებს" ლიდერები ღიად აცხადებენ, რომ "უდიდობო და უინტელექტო ხაბაზის ამ პოსტზე არჩევა საბოლოოდ დაასაძრებს მიხეილ სააკაშვილის შემორჩენილ რეიტინგს ბათუმსა და ქობულეთში".

"ბათუმში უკვე ასეთი ხუმრობა განდია - აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ფულის ახალი ერთეულია - "ხაბაზი", და ვაჭრობის დროს ნივთს ასე აფასებენ - ერთი ხაბაზი, ორი ხაბაზი, შვიდი ხაბაზი... თუკი ეს ადამიანი უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მართლაც

დავით ბერძენიშვილისთვის აბსოლუტურად მისაღებია აჭარელ "ნაციონალებს" პარტიული სის პირველი ნომერი - მიხეილ მახარაძე. "თუკი პრეზიდენტი და მარტიოს ლიდერები გონს მოეგვიან და ამ ადამიანის კანდიდატურას დაასახელებენ, ჩვენი დეპუტატები მხარაძეს უპრობლემოდ დაუჭერენ მხარს," - ამბობს ბერძენიშვილი, რომელიც მაინც იმედოვნებს, რომ მისი ხმა პრეზიდენტს მისწვდება.

დაბოლოს: ჯერ კიდევ გაურკვეველია, ვის დანიშნავს ბათუმის მერად პრეზიდენტი. ამ საკმად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე აქტიურად განხილვებდა კახა მიქელაძის კანდიდატურა, მაგრამ ჩვენთან საუბარში აჭარაში პრეზიდენტის რწმუნებულმა ლევან ვარშალომიძემ განაცხადა, რომ ეს ხმები სიმართლეს არ შეესაბამება.

აქვე დაეძინა, რომ იმ ადამიანს, რომელზეც საკუთარ არჩევანს პრეზიდენტი შეაჩერებს, ბათუმის მერიც მხოლოდ წელსინდინების განმეორებაში მოუწევს, რადგან 2005 წლის ნოემბერში გამართება თვითმმართველობის არჩევნები და ქალაქის თავისაც ბათუმელები პრეზიდენტის ჩარევას გარეშე აირჩევენ. თუმცა, არც ის არის გამორიცხული, მიხეილ სააკაშვილმა ბათუმელებს ისეთი ადამიანი შესთავაზოს, რომელიც მათთვის ერთი წლის შემდეგაც მისაღები იქნება.

სააქციო საზოგადოებას სელმპლვანელოვის საშურადლეომ!

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტი აცხადებს კონკურსს სააქციო საზოგადოებისათვის, კორპორაციული მართვის დანერგვის პოლიტურ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად.

კორპორაციული მართვა ესაა სისტემა, რომლის მეშვეობითაც კომპანიის მართვა და კონტროლი ხორციელდება. საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტის კორპორაციული მართვის გაუმჯობესების კომპონენტი მიმართულია ქართული საწარმოების გაჯინსაღებასა და მათ მიერ დამატებითი ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობის შექმნაზე. პირველ ეტაპზე შეირჩევა 5 სააქციო საზოგადოება. შერჩეული სააქციო საზოგადოებები პოლიტურ პროგრამაში მონაწილეობის შედეგ შეძლებენ:

- კომპანიის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას;
- გაზრდილი ქონების ღირებულების, გუდვილის, საზოგადოების აქციების ღირებულების ხარჯზე სარგებლის მოღებას;
- დადგენილების გაზრდას / გაცემას;
- გარეშე ფინანსირებას გასვლას (კაპიტალის ბაზრები);
- შრომითი რესურსების მოზიდვას (მმართველები და თანამშრომლები);
- სამუშაო ადგილების ზრდასა და ზოგადად ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას.

მსურველი სააქციო საზოგადოება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- 1. კომპანია უნდა იყოს რეგისტრირებული სააქციო საზოგადოებად;
- 2. კომპანიაში სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობა არ უნდა აღემატებოდეს 25%-ს.

დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ დაუკავშირდეთ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტს შემდეგ მისამართზე:

თბილისი, ი. ჭავჭავაძის 1 ჩიხი, 5ა.
ტელ.: 91 26 89, 91 29 58, 91 30 96
ფაქსი: 91 34 80
პოლიტური პროგრამის პირველი ეტაპის დახურვის თარიღია ა.წ. 16 ივლისი.

სიაბოვნების აუზი...
სასტუმრო "შერატონ-მეტეხი-პალასში"

გამუშავებული ცენტრის ფისები იწყება 13 აპრილიდან (ფასის ემტება დღე, გადახდა ლარებში).

დასაცურათი აუზი
11.00 - 21.00.

საუბელის სეზონის დადგომისთან დაკავშირებით გაიხსნა და საცურათი აუზი... არამარტო სასტუმროს უცხოელი სტუმრებისთვის, არამედ თქვენთვისაც. ჩვენი გამუშავებული ცენტრია ერთადერთი პლაჟი, რომელსაც გაწვია და დახურული და საბავშვო საცურათი აუზები. გახდა გამუშავებული ცენტრის წვერი და ისარგებლოთ საცურათი აუზებით, სატრენაჟორო და აერობიკის სტუდიით, ჯაკუზით და სუნიით. დამატებითი ინფორმაციისთვის და საწვავი ბარათის შესაძენად გთხოვთ დაუკავშირდეთ მორივე მენეჯერს. ტელ.: 77 20 20, დამატებითი 107.

MEMBER OF STARWOOD PREFERRED GUEST

Sheraton Metechi Palace HOTEL
Tbilisi, Georgia
★★★★★
See for yourself™
www.sheraton-metechi.com

თავი დაულოთოთ ყაიის აბიჯიცი! იოქსი
(პოლიტიკონ-იონი-აქსანოლინი)

იოქსი-ანტისტატიკური საშუალებაა, რომელსაც გააჩნია ფართო ანტიბაქტერიული, ბაქტერიოციდული და ანთიბიოსაქსანოლინი მოქმედება. იგი წლების მანძილზე გამოვიდა პროკარბატა, რომელიც დაგეგმარებათ გაუკლავდეთ ანთიბიოს, ტონიზირებს, ხაზის ანთიბიოს, ფარინგიტიკონებს. განსაკუთრებით ნაჩვენებია ხაზისა და ექლის ქრონიკული დაავადებებისას, რომელსაც თან ახლავს სიმწრაფე და ლორწოვანი გარბის ატროფია.

იოქსი ასევე რეკომენდებულია, როგორც პროფილაქტიკური საშუალება მწვავე რესპირატორული ვირუსული ინფექციების დროს, იოქსის ორი ფორმა არსებობს: ნილი და ხსნარი არის მოსახერხებელი, როგორც საექიმო მანიპულაციებისას, ასევე სახლის პირობებში მკურნალობისას.

IVAX Pharmaceuticals
კომპანია დაარსდა 1978 წელს

ყაიის აბიჯიცი: ანტიბიოტიკი

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მორიგი ნივანდობა

როგორც მსოფლიო ბანკის სათაო ოფისიდან "24 საათს" შეატყობინეს, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ (IFC) გუშინ შეთანხმება მიაღწია ავღანეთის ეკონომიკური განვითარების უმსხვილეს - ავა ხანის ფონდთან AKFED. კორპორაცია შეიძინა მილიონი დოლარის ოდენობის ინვესტიციას ჩადებს ავღანეთის ტურისტული ინფრასტრუქტურაში, კერძოდ კი, Kabul Hotel-ის აღმშენებლობა-გაფართოებაში, - ნათქვამია მსოფლიო ბანკის ცენტრალური ოფისის მიერ სპეციალურად "24 საათისთვის" გამოგზავნილ ინფორმაციაში. Kabul Hotel-ის აღდგენა და გაფართოება, რაც 28 მილიონი დოლარი ჯდება, ავღანეთს პირველ საერთაშორისო სტანდარტების სასტუმროს მის-

ცემს. მისი გაფართოების პირველი ფაზის დასრულება 2004 წლის ბოლოსთვისაა მოსალოდნელი. ცნობისათვის, IFC-მ AKFED-თან ერთად ინვესტიციები 20-ზე მეტ კერძო სექტორის პროექტებში განახორციელა, კერძოდ კი - აფრიკაში, ცენტრალურ აზიაში, შუა აღმოსავლეთში და ჩრდილო აფრიკაში, ხოლო სულ ახლო წარსულში, სამხრეთ აზიაში. IFC-ის მისია არის განვითარებად ქვეყნებში კერძო სექტორის ინვესტირების ხელშეწყობა, ეხმარება სიღარიბის დონის შემცირებას და ხალხის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას. კორპორაცია საქართველოს ეკონომიკური განვითარების თემატიკითაც არის დაკავებული. **24 საათი**

ბენდუქიანი სამთავროს სახელობის აირი

გუშინ რუსულმა საინფორმაციო სააგენტომ "რია ნოვოსტის" ეკონომიკის მინისტრის კახა ბენდუქიანის ახალ თანამდებობაზე დანიშნების შესახებ გაავრცელა ინფორმაცია. სააგენტოს თქმით, ბენდუქიანი საქციო საზოგადოებაში "Красное Сормово"-ს დირექტორთა საბჭოს წევრად გუშინ აირჩიეს "რია ნოვოსტის" ცნობით, აქციონერებმა ახალი შეიქცაიანი დირექტორთა საბჭო ხუთმებათს აირჩიეს, თუმცა თავიდან ვაკანტურ ადგილებზე პრეტენზიას 12 კანდიდატი აცხადებდა. დირექტორთა საბჭოს ორი წევრი სახელისუფლებო სტრუქტურადან არის, დანარჩენი ხუთი კი - "OM3-Морские и нефте-

газовые проекты"-ის წარმომადგენლები არიან. გუშინვე აირჩიეს სანარმო გენერალური დირექტორი - ის კვლავაც ნიკოლაი ფარკოვი. აქციონერებმა გუშინვე შეხვედრაზე დივიდენდების გადახდის შესახებაც მიიღეს გადაწყვეტილება, კერძოდ, 2003 წლის მოგებდენ წესებს სანარმო ბიუჯეტში დივიდენდის სახით 18 მილიონ რუსულ რუბლს შეიტანს. სანარმოს შარშანდელმა მოგებდენმა 186 მილიონ რუბლს გადაატარა. ცნობისათვის, სანარმოს აქციების 60.87 პროცენტს "OM3-Морские и нефтегазовые проекты" ფლობს, ხოლო რუსეთის ფედერაციის ქონების მართვის სამინისტრო - 33.53 პროცენტს.

"არკია" უკვე საქართველოშიცაა

ქართულ ავიაბაზარზე კიდევ ერთი უცხოური ავიაკომპანია გამოჩნდა. ამჯერად ის "არკია ისრაელის ავიაბაზაზე"ა, რომლის პირველი რეისი პრეზენტაციას ორი დღის წინათ, თბილისის აეროპორტში შედგა. "თბილისი-თელავიცი-თბილისი" რეისი 109 მგზავრი ჩამოაყვავა, რომელთა ერთი ნაწილი საქართველოში ტურისტული მიზნით ჩამოვიდა. კომპანია "არკია" პრეზიდენტისა და უფროსი აღმასრულებელი პირის, პროფესორ ისრაელ (იზი) ბოროვიჩის განცხადებით, "არკია მოხარულია შესარულოს რეისები თბილისი-თელავიცი-თბილისის მიმართულებით. გვეჯერა, რომ ისრაელი ვაზდება უაღრესად პოპულარული ადგილი იმ ქარ-

თველი ტურისტებისათვის, რომლებსაც ამ ქვეყნის ღირსშესანიშნავი ადგილების მონახულება სურთ." "არკიას" რეისები შესრულდება კვირაში ერთხელ, ყოველ თოხშაბათს. კომპანიის წარმომადგენლები ირწმუნებიან, რომ მათი ავიაკომპანიის ტარიფები სხვებთან შედარებით მნიშვნელოვნად დაბალია. უმაღლესი დონის ტექნიკა და სერვისი - ეს არის კიდევ ერთი, რითაც "არკია" საქართველოს ავიაბაზარზე დამკვიდრებას და უპირატესობის მოპოვებას შეეცდება. რეისები თბილისი-თელავიცი-თბილისის მიმართულებით შესრულდება ავიაკომპანია "არკიას" ბოინგ-757 ტიპის თვითმფრინავით. **24 საათი**

ორი სიტყვით

თბილისი. "თბილგაზის" აბონენტები ბუნებრივ აირს იენისის ბოლომდე მიიღებენ, თუმცა ურჩი გადამხდლები ისევ გაზის გარეშე დარჩებიან. "თბილგაზში" აცხადებენ, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო გამორთული აბონენტები 30 ივნისამდე ჩაირთვებიან და ამ დროისთვის დედაქალაქი უკვე სრულად დაიტვირთება. "უახლოესი ორი კვირის განმავლობაში მომხმარებელნი უზენებს მიხედვით მხოლოდ ერთი დღით გაითიშებიან, რათა კომპანიამ საუბნო მოცულებების დამონტაჟება შეძლოს. ამჟამად ბუნებრივი აირი მხოლოდ ნაძალადევის რაიონის მოსახლეობას არ მიეწოდება. თუ ისინი დავალიანებას დაფარავენ, იენისის ბოლომდე აირს მიიღებენ," - განაცხადეს კომპანიაში. **ინტერ-პრესი**

თბილისი. გუშინ წარმოების ლიცენზიამართებულ "ეი-იეს ხრამი 2"-ს რუსმა მმართველებმა დღეს სამთავროს საბჭო შეუცვალეს. ჰესის სამკაცთან სამთავროს საბჭოში შედიან კომპანია "თელასის" გენერალური დირექტორი დანკირას მიკოლაიუნასი და "რაო ე-ეს-ის" წარმომადგენლები - იური შაროვი და მარია ფერეშოვა. "ეი-იეს ხრამი 2"-ს ახალმა რუსმა მმართველმა სახელიც შეუცვალა და ძველი სახელწოდება - "ხრამი 2" დაუბრუნა. **ინტერ-პრესი**

ს.ს. "თელასი" აცხადებს ტენდერს მრეცხველების კარადების მონოდებაზე

დაინტერესებულ ორგანიზაციებს სატენდერო დოკუმენტაციის ნალები შეუძლიათ 2004 წლის 28 ივნისამდე; მისამართი: თბილისი, ვანის ქუჩა N3, მე-3 სართული, კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილება. ტელ: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53; გათხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 30 ივნისი.

ს.ს. "თელასი" აცხადებს ტენდერს 0,6/1კვ-ის სპილენძის შებენი აპარატების მონოდებაზე

2XRY 4X3588² - 3000M
2XRY 4X5088² - 34000M
2XRY 4X7088² - 9000M
2XRY 4X9588² - 3000M
2XRY 4X12088² - 4000M
2XRY 4X18588² - 2000M
და აგრეთვე 0,6/1კვ-ის ალუმინის შემდეგი კაბელების მონოდებაზე:
2XRY 4X3588² - 3000ფ
2XRY 4X7088² - 9000ფ
2XRY 4X9588² - 3000ფ
გათხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მასალა უნდა იყოს ახალი, გამოყენებული და შესაბამისი გარანტიებით.
დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა მოგემართონ ტელეფონის ნომრებზე: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53; დატოვონ თავიანთი შემოთავაზებები სს "თელასის" კანცელარიაში ან მობრძანდნენ სს "თელასის" კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილებაში; თბილისი, ვანის ქუჩა N3, მე-3 სართული.
გათხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 12 ივლისი.

გიორგი გოვაჯაძე: "პეტირბურგში ჩავიბრუნეთ ენთუზიაზმი და წამოვიღეთ კონტრაქტები"

წინა წარმომავალი

პეტერბურგში დასრულდა საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმი "ეფექტური ეკონომიკა - ლიბერული ცხოვრება", რომელშიც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის ბიზნეს და პოლიტიკური ელიტა იღებდა მონაწილეობას და რომელიც რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის უშუალო პატრონაჟით, რუსეთის მთავრობის დაფინანსებით ყოველწლიურად იმართება. წლებგანდელი ფორუმი კი მისი წინამორბედებისაგან აქტიური ეკონომიკური თემატიკით განსხვავდებოდა და ნაკლებად იყო საუბარი პოლიტიკაზე.



თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტი

გიორგი გოვაჯაძე: ჩვენი სახანკო სტეპლონი საერთაშორისო თანამეგობრობის დაინტერესება საქართველოში ცივილური ბიზნესის წარმოებით და უსაფრთხო სინდესტოკიო კლიმატის შექმნითაა გამოწვეული.

ფორუმზე დღეს-ს ქვეყნების საპარლამენტაშორისო ასამბლეაში საქართველოს პარლამენტის მუდმივი წარმომადგენლის პაატა სურგულაძის ძალისხმევით შედგა წარმოდგენილი იყო საქართველოს დელეგაცია პარლამენტის წევრების, საგარეო-სამრეწველო პალატის და რამდენიმე ქართული კომპანიის ხელმძღვანელების სახით. მნიშვნელოვანია, რომ ფორუმის მუშაობაში პირველად მონაწილეობდა ქართული სახანკო სექტორი, უფრო ზუსტად კი, პეტერბურგის საერთაშორისო ფორუმის არსებობის რეანალიზი ისტორიის მანძილზე "სახალხო ბანკი" მასში მონაწილე პირველი ქართული ბანკი აღმოჩნდა. რამ გამოიწვია ქართული სახანკო სექტორისადმი საერთაშორისო თანამეგობრობის დაინტერესება?

"სახალხო ბანკის" გენერალური დირექტორი გიორგი გოვაჯაძე ამას საქართველოში ცივილური ბიზნესის წარმოებისა და უსაფრთხო ინვესტიციების განხორციელების კლიმატის შექმნით ხსნის. აქ კი, მისი შეფასებით, სახან-

კო სექტორს პირველადი, გარკვეულწილად, მედიატორის როლი აკისრია. "პეტერბურგში ჩვენ ჩავიტანეთ ენთუზიაზმი და წამოვიღეთ კონტრაქტები ისეთ სერიოზულ ბანკებთან, როგორცაა "როს ექსიმ ბანკი", "როს სბერ ბანკი" და "ჩეხეთის ექსპორტის ბანკი". უფრო კონკრეტულად კი - უახლოეს მომავალში ხელი მოეწერება შეთანხმებებს, რომლის საფუძველზეც აღნიშნული ბანკები "სახალხო ბანკში" გრძელვადიან და მულტაითიან საკრედიტო ხაზებს გახსნიან," - აღნიშნავს გიორგი გოვაჯაძე. მისი

ტვირთები შიქარაბულია, ფასები - გაზრდილი

სამხრეთ ოსეთში შექმნილი სიტუაცია ამ დღეებში განსაკუთრებით მძიმედ აისახება საქართველოს ეკონომიკაზე. ერგენტის ბაზრობის დახურვა საქართველოში სამომხმარებლო ფასებზე რომ იმოქმედებდა, იმთავითვე ცნობილი იყო. ამას დღეს დაემატა მღვთა-თიანეთის გზის ჩაკეტვა, რის გამოც საქართველოში რუსეთიდან მომავალი ტვირთების ნაკადი უკვე პრაქტიკულად მთლიანად შეჩერდა.

თამარ ივანიძე

თოხშაბათს საქართველოს მთავრობის სდომბაზე გაკეთებული განცხადების თანახმად, საქართველოს მთავრობა აპირებს, ამ ტვირთების საქართველოში შემოსასვლელად რიკის გვირაბი და ცხინვალის გზა გამოიყენებინა. თუმცა, ამ გზით ნაოსნობი ტვირთების დიდი ნაწილი გაზონ, ან პოლიტიკური გაუფრთხილება გამო, ან საბუთების წესრიგში არქონის საფუძველით შეჩერდა, ძირითადად, ისევ საქართველოს მაკონტროლებული ორგანოების მიერ.

მათ შორის ისეთი მალფუჭებადი პროდუქტებიც არის, როგორც ბოსტ-

ნეულია, რამაც ტვირთების მეპატრონეთა აღფრთოება გამოიწვია. ცხადია, აღნიშნული შეფერებების მოტივაციად კონტრაბანდისთან ბრძოლა სახელდება, თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ კონტრაბანდულმა გზამ ჩვეულ მარშრუტს უკვე აუარა გვერდი და იმავე სამხრეთ ოსეთის გავლით სხვა მიმართულებით გადმოინაცვლა.

თუ მღვთა-თიანეთის გზის პრობლემა, მათ უმეტეს - ზახვალში, შედარებით მათ მოგვარებადია (ყოველ შემთხვევაში, გზის შემუშავება ირმუნებისა, რომ პრობლემა დღეს თუ არა ხვალ მოგვარდება), შედარებით ხანგრძლივ პერსპექტივად განიხილება ზოგადად ფასების ზრდა, რაც ერგენტის

ბაზრობის დახურვამ გამოიწვია.

მაგალითად, გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ახალქალაქის რაიონის მოსახლეობა ფეკლზე ფასის მომატებასთან დაკავშირებით საპროტესტო აქციების გამართვას აპირებს. მათი თქმით, ბოლო დროს ცხინვალში განვითარებული მოვლენებისა და ერგენტის ბაზრობის გაუქმების გამო ფეკლზე ფასმა საგრძობლად იმატა. ახალქალაქელებს ამჟამად 300-გრამიანი პურის ყიდვა 50 თეთრი უჯდებათ. ისინი ურქმინილ მდგომარეობის გამო ადგილობრივ ხელისუფლებასაც ადანაშაულებენ. თავად რაიონის გამგეობაში კი აცხადებენ, რომ უახლოეს დღეებში, საგარაუდოდ, თურქეთიდან 10 ტონა თბილისის შემოტანა იგეგმება, თითო ტონის ღირებულება კი 42 ლარი იქნება, რაც პრობლემის დარეგულირებას ხელს შეუწყობს.

"ერგენტის ბაზრის დახურვა საქართველოში პურის ბაზარზე დიდ ზეგავლენას არ იქონიებს," - აცხადებენ საქართველოს სოფლის მეურნეო-

ბისა და სურსათის სამინისტროში. სამინისტროს გადამამუშავებელი მრეწველობის დეპარტამენტის თავმჯდომარის იმარ კაჭარავას თქმით, ერგენითდან შემოდოდა, ძირითადად, დაბალხარისხიანი კონტრაბანდული პროდუქცია, მათ შორის - ხორბალი და ფეკლი. ამიტომაც, ბაზრობის დახურვის შემდეგ ამ პროდუქციაც ფასების გარკვეულ ფასმა საგრძობლად იმატა. პრაქტიკულად, მოხდა ბაზრის ლეგალიზაცია, მაგრამ პირველ ფასების ზრდა მოსალოდნელი არ არის. უფრო მეტიც, შესაძლებელია ფასები შემცირდეს, რადგან წლეულს მსოფლიო ბაზარზე ხორბლის მაღალ მოსავლს ელოდებიან, მათ შორის, რუსეთშიც. საქართველოში წლეულს 250 ტონა ხორბლის მიღება ვარაუდობენ, საიდანაც 50 პროცენტს სასურსათო ინდუსტრიაში დარეგულირებას ხელს შეუწყობს.

დროის სვლილება აპირაციის ბანკის სვლის

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, 27 ივნისიდან საქართველოში საათი ერთი საათით უკან გადაიწეეს. ანუ, მაგალითად, დღის რვა საათზე საათს ყველა გადაწეეს უკან და დააყენებს შვიდ საათზე. საქართველოს ხელისუფლებამ აღნიშნული ევროპის დროსთან დაახლოებით ახსნა. შედეგად, თბილისის დრო გაუტოლდება მოსკოვისას, რაც არაერთ დისკომფორტს მოხსნის, თუმცა არსებობს მეორე მხარეც - ავიარეისები. როგორც ირკვევა, იცვლება ავიარეისების განრიგი.

ოთარ ძირია

როგორც "24 საათს" "აირზნა საქართველოს ავიაბაზაში" განუმატრ-

ეს, ყველა რეისი გადაიწეეს 1 საათით უკან. ანუ, ხუთშაბათსა და კვირას თბილისი-იენის რეისი ნაცვლად 07.50-ის ნაცვლად 06.50 საათზე. უკან გადმოიწეეს ჩაფრენის საათიც (09.30-

დან 08.30-ზე). შესაბამისად, ერთი საათი შეიცვლება თბილისში გამოფრენის საათებზეც. მაგალითად, თუ პარიზ-თბილისი ხორციელდებოდა 12.10 საათზე, 27 ივნისიდან თვითმფრინავი გამოფრენდება და ნაცვლად 18.50 საათისა, თბილისის აეროპორტში 17.50 საათზე დაგვდება.

ყველაზე მეტი სირთულე ახლავს მოსკოვის რეისებს. აქ დრო გათანაბრდა, თუმცა შეიცვალა აფრენა-დაფრენის საათები. 27 ივნისიდან ყოველდღიუ-

რად, ნაცვლად 08.50 საათისა, თვითმფრინავი მოსკოვის მიმართულებით გაფრინდება 07.50 საათზე. რაც შეეხება ჩამოფრენას, დომოდედოვოს აეროპორტიდან თვითმფრინავი გამოეშურება 11.45 საათზე, ნაცვლად 10.45-სა და თბილისში დაიშვება 14.10 საათზე, ნაცვლად 13.10 საათისა. აღსანიშნავია ისიც, რომ პვერი თვითმფრინავის ბილეთს თვეებით ადრე იყიდებიან ან ჯავშნის. ამიტომ ფრენის განრიგი თავიდან უნდა გადაამოწმონ.

საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია უმუშევრების დიდ არმიას წლის ბოლომდე რამდენიმე ათეული ათასი ადამიანი შეემატება

საქართველოში ახალგაზრდების უმუშევრობის დონემ სავალალო პიკს მიაღწია. სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით 20-24 წლის მოსახლეობის მხოლოდ 36 პროცენტია დასაქმებული, მაშინ როდესაც 65 წლის ზემოთ (საპენსიო ასაკის) მოსახლეობის ნახევარი ისევ მუშაობს. ეს გამოწვეულია სახელმწიფო სოციალური პროგრამების სისუსტით, რაც პენსიონერებს აიძულებს იმუშაონ პენსიაზე გასვლის შემდგომაც. უკვე გაზრდილი 20 ლარანი პენსიის მოლოდინში პენსიონერს სამსახურის დატოვების სურვილი არ აქვს, რადგან ამ თანხით მინიმალური საარსებო პირობების დაკმაყოფილება ცდილობს. საჭიროა მთავრობის მიერ შემუშავდეს პენსიის დიფერენცირებული განაკვეთები შრომის სტაჟის, სამუშაოს სირთულეს და სხვა კრიტერიუმების მიხედვით. იმაგდროულად უნდა მოხდეს დაინტერესებული ახალგაზრდების ჩართვა სამუშაო პროცესში, რათა მიიღონ შესაბამისი გამოცდილება. წინააღმდეგ შემთხვევაში რამდენიმე წელიწადში ქვეყანას აღარ ეყოლება ძველი კადრები, ხოლო ახალ კადრებს არ ექნებათ შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება.

